# საგადახდო დავალება N1
"20" სექტემბერი 2013 წელი

რეფერენსი
2182473549

გადამხდელის დასახელება: შპს Gogaz გოუგაზი

ანგარიში (დებეტი) GE15BG0000000351885500
(ძველი ანგ.)

თანხა
1200-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა სიტყვებით
ერთი ათას ორასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტ. კოდი 200190603

მიმღების დასახელება: შპს "მცენარეთა დაცვის საწარმო"

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) GE90BG0000000747765400
(ძველი ანგ.)

მიმღების ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მიერ: 20.09.13

ხელმოწერა

გადახდის დანიშნულება: 12 ძირი ახალგაზრდა ხე-მცენარის გადარგვა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე
მიღება-ჩაბარების აქტი ტარიღი 19.07.2013

დამატებითი ინფორმაცია:

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 19 სექტემბერი 2013წ

ერთის მხრივ, შპს "გოუგაზი"-ი წარმოდგენილი დირექტორი გოგი ბოლქვაძის სახით (შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „მცენარეთა დაცვის საწარმო" (მიმწოდებელი) დირექტორი ჯემალ პირველის სახით შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ 2013წ. 17 სექტემბრის ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული იქნა ქ. თბილისში ხევზმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიიდან 12 ძირი ახალგაზრდა ხე-მცენარის გადარგვა თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ერთი ძირი ხე-მცენარის გადრაგვის ღირებულება შეადგენს 100 ლარს, სულ სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1200,00 (ერთი ათას ორასი) ლარი დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

## აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს "გოუგაზი"<br>ს/კ 200190603<br>მის: ხევზმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთა<br><br>დირექტორი: გოგი ბოლქვაძე | შ.პ.ს. „მცენარეთა დაცვის საწარმო"<br>მის: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. №83<br>ს.ს. „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა №GE90BG0000000747765400<br>ს/კ: 211335349<br><br>დირექტორი: ჯემალ პირველი |

2057093
12/13239215-25
13.09.2013

გოგი ბოლქვაძე (01008052078),
დელისის #3, კორპ#5, ბ.9

თქვენი 27.08.2013 წლის (#12/13239215-25) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან (საკ/კოდ 01.11.12.018.020) ხე-ნარგავების მოჭრას გაცნობებთ, რომ სამსახური თანახმაა მოიჭრას ტერიტორიაზე არსებული ხილ-კენკროვანი მცენარეები და 1 (ერთი) ალვის ხე-მცენარე, რომლის საერთო აღდგენითი ღირებულება შეადგენს 180 (ასოთხმოც) ლარს. გაცნობებთ, რომ დაინტერესებული პირი ვალდებულია მოჭრის ნებართვის მისაღებად ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მწვანე ნარგავების მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ხოლო 1(ერთი) კაკალი, 1(ერთი) ცაცხვი, 1(ერთი) თუთა, 8(რვა) ფიჭვი და 1(ერთი) კიპარისი გადაირგოს ჩვენს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე.

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი — გიორგი ქორქაშვილი

საქართველოს
სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახური

Special State
Protection
Service of Georgia

☎ +(995 32) 228 44 43
+(995 32) 228 44 87

ქ. თბილისი, 9 აპრილის ქ. № 2
2, 9 Aprili Str., Tbilisi

№ 5/580-2565

„25" 10 2013 წ.

შ.პ.ს. „გოუგაზი"-ს
დირექტორს გ.ბოლქვაძეს

ბატონო გოგი,

თქვენი ა.წ. 21 ოქტომბრის №21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები არ ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ დაგეგმილ დაცვით ღონისძიებებს.

გთხოვთ, სამუშაოების დაწყების ზუსტი დრო და ხანგრძლივობა შეგვითანხმოთ წინასწარ.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილე გ.ფანცხავა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
THE DEPARTMENT OF PATROL POLICE

№ 2118-2175576 „01“ 11 2013 წ.

შ.პ.ს. “გოუგაზი”-ს დირექტორს
ბატონ **გოგი ბოლქვაძეს**

თქვენს მ/წლის 25 ოქტომბრის N19–ზე,

ქ. თბილისი, თ. შეშელიძის ქ. N118

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს
ბატონ **ლაშა ჯოხაძეს**

გაცნობებთ, რომ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების კვეთასთან, შ.პ.ს. „გოუგაზი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.12.018.020) ა/გაზგასამართი სადგურის მშენებლობას და ამასთან დაკავშირებით ითხოვთ ა/ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2013 წლის 25 ოქტომბრის N5/580-2565 წერილობით და ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანხმობებს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი არა არის წინააღმდეგი ზემოთ დასახელებულ მონაკვეთზე, ა/გაზგასამართი სადგურის მოწყობის შემდეგ მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები განთავსდეს და ა/ტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდეს წარმოდგენილი სქემის შესაბამისად.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებელია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დამატებით წარმოადგენილ იქნას სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში ობიექტზე ა/ტრანსპორტის მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემა.

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე თანდართული სქემის შესაბამისად.

დანართი: “2“ ფურცლად

პატივისცემით,
დეპარტამენტის სისტემური მართვის
სამმართველოს უფროსი

**ვალერიან ფრანგიშვილი**

ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №38
№38 Kakheti Highway, Tbilisi.

ტელ./ Tel.: 0 (32) 241 85 02
ფაქსი/ Fax: 2 41 85 02

E-mail: ushba@mia.gov.ge

„შეთანხმებულია"

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

მ. ჭამავურიძე

„შეთანხმებულია"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

ლ. ჯოხაძე




გენგეგმა მ. 1:500

ექსპლიკაცია:

1. საოპერატორო-ოფისი
2. სანკვანძი
3. მოსაცდელი
4. საკომპრესორო
5. სატრანსფორმატორო
6. გაზგასამართი ფარდული
7. გაზის დისპენსერი

## საგზაო ნიშნები

| | | |
|---|---|---|
| 2.4 | ▽ | 1 ცალი |
| 3.1 | ⛔ | 1 ცალი |
| 3.24 | 10 | 1 ცალი |
| 3.27 | ⊗ | 1 ცალი |
| 4.1.2 | → | 1 ცალი |
| 6.3 | ⛽ | 1 ცალი |

## საგზაო მონიშვნა

| | | |
|---|---|---|
| 1.8 | - - - | 24 მ. |
| 1.1 | —— | 27 მ. |
| 1.18 | ▾▾▾▾ | 16 ცალი |
| 1.18 | ▮▮▮▮ | 28 ცალი |
| 1.18 | ↑ | 2 ცალი |
| 1.18 | ↑ | 2 ცალი |
| 1.19 | ↑ | 1 ცალი |

სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის მიმართულება

| შ.პ.ს. „სოვბი-გაზი" | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საპროექტო ჯგუფი | | | ქ. თბილისში, ხევძმარის(შეშელიძის ქ.) და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან შ.პ.ს. „Gogaz გოუზაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გაზგასამართი სადგურის მშენებლობის პროექტი | | | | | დაქ. № |
| თანამდებობა | გვარი | ხელმოწერა | | | | | | |
| დირექტორი | მ. ჯიშკარიანი | | | | | | | |
| არქიტექტორი | კ. შარვაძე | | საგზაო მოძრაობის რეგულირების (ორგანიზაციის) სქემა | | | | | ინვ. № |
| შეასრულა | კ. შარვაძე | | | | | | | |
| შეამოწმა | მ. ჯიშკარიანი | | | | | | | |
| ქ. თბილისი, პლ. იოსელიანის ქ. №37, ბ. №95 ტელ: 5 99 70 25 65 | | | სტადია | ფურცელი | ფურც. რ-ბა | თარიღი | მასშტაბი | |
| | | | ე.პ | ა-1 | 1 | 2013წ. | 1:500 | |

ქალაქ თბილისის მერიის
სსიპ საგანგებო და გადაუდებელი
სიტუაციების მართვის სააგენტო

0160 ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. №28 ტელ: 38-62-20; 38-62-25; ფაქსი 38-62-21

2013 წლის „01" ნოემბერი № 01102/154

შ.პ.ს „გეოგაზი"-ს დირექტორს
ბატონ გ. ბოლქვაძეს

თქვენი ა/წ 31 ოქტომბრის №23 წერილზე გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთაზე ავტოგაზგასამართი სადგურის სამშენებლო პროექტი. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია შეესაბამება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს.

უფროსის მოადგილე მ. ყირიმელი

# ქალაქ თბილისის მერია

2059325
12/13239215-25
17.09.2013

გოგი ბოლქვაძე (01008052078),
დელისის #3, კორპ#5, ბ.9

თქვენი 16.09.2013 წლის (#12/13239215-25) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხევძმარისა და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან (საკ/კოდ 01.11.12.018.020) 1 (ერთი) ძირი ალვის ხის მოჭრას დიამეტრით 55სმ გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა, მოიჭრას აღნიშნული ხე-მცენარე 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ტელ: 5-77-17-00-82)

პატივისცემით,
თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

# MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060190653535513

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge


**# 2726** **29 / ოქტომბერი / 2013 წ.**

შპს "GOGAZ"-ის დირექტორს
ბატონ გ. ბოლქვაძეს

ბატონო გოგი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2013 წლის 28 ოქტომბრის #22 განცხადება, რომლითაც ითხოვდით თქვენს მიერ წარმოდგენილი შპს "GOGAZ"-ის საპროექტო ავტოგაზგასამართი სადგურისთვის შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შეთანხმებას.

გიგზავნით სამინისტროს მიერ შეთანხმებულ ზემოაღნიშნულ დოკუმენტს.

პატივისცემით,

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის უფროსი ქეთევან კორძახია

შ.პ.ს "ინჟინერი" "ENGINEERE" L.T.D

№ 003 "31" 10 2013წ.

საიდ. კოდი – 406043473

Engineere_11@yahoo.com

შპს "სოვბი გაზი"-ს

გაცნობებთ, რომ განხილულ იქნა ქ. თბილისში, ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან, შპს "გოუგაზი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ავტომობილების ბუნებრივი გაზით გასამართი საკომპრესორო სადგურის სამშენებლო პროექტის ტექნოლოგიური ნაწილი.

ვიხელმძღვანელეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებით დამტკიცებული "ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესები"-თ.

დადგინდა, რომ წარმოდგენილი პროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში მითითებულ წესებთან და შეიძლება მისი განხორციელება.

დირექტორი /დ. ჩახტაური/

შემსრულებელი: დ. ფავლენიშვილი

ტელ: 599 34 75 95

საქართველო, ქ. თბილისი ძმები კაკაბაძეების ქ. №7 ტელ : +995 599582912; +995 592284433

GEORGIA, ST. TBILISI DZMEBI KAKABADZEEBI st. №7 TEL: +995 599582912; +995 592284433